დანართი №2

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი"**
**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:
ნინო ფეტვიაშვილი
წევრები:
სახელი, გვარი - ეკატერინე პატიეშვილი
სახელი, გვარი - ავთანდილ გეგენავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

**დაწესებულების სახელწოდება:** ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი'' **ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 245624819

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 7 ივნისის N165 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - ნინო ფეტვიაშვილი, ჯგუფის წევრები - ეკატერინე პატიეშვილი, ავთანდილ გეგენავა) 2019 წლის 18-20 ივნისს განახორციელა ვიზიტი შპს ,,ბათუმის საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორ''-ში, მისამართზე: ქ.ბათუმი, შავშეთის ქ. N29. ვიზიტის მიზანს წარმოადგენს დაწესებულების შპს ,,ბათუმის საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის'' (ს/კ 245624819) პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, შემოწმდა დაწესებულების საგნმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამები, მოდულები, დაწესებულების ვებგვერდი, რეესტრი, შემოწმდა დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსი.

განხორციელდა ვიზიტი ჯგუფის მიერ შერჩეულ პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც გავესაუბრეთ პრაქტიკის ინსტრუქტორებს. სამუშაო ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხრიდან იგრძნობოდა კეთილგანწყობილი, კონსტრუქციული თანამშრობლობითი დამოკიდებულება, მზაობა მიღებული რეკომენდაციების გაზიარების. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კომფორტული სამუშაო პირობებით.

| **მდგომარეობა** (ახალი/ არსებული) | **სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა** | **შენობა-ნაგებობების ფართი** | **მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) |
|---|---|---|---|---|---|
| ფაქტობრივი მდგომარეობით | 140 | 2 | 10 | 673 კვ.მ.<br>300 კვ.მ. | სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიცეპალიტეტში |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

### III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო | **მუხლი 7 /** | ■ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ფართი; | პუნქტი ა.ბ) | | |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | | | |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს ,,ბათუმის საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრი ეკვატორი'' დაარსდა 2009 წელს. ცენტრში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის ISO-ს სერთიფიკატი.
პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულებაში რეგულარულად ხდება მატერიალურ-
ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შემოწმება საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში, შემოწმების პროცესში ჩართულია როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოში არსებული სხვადასხვა ორგანიზაცია და უწყება. 5 წელიწადში ერთხელ საქართველოს საზღვაო საწვრთნელი დაწესებულებები გადიან ევროპის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს აუდიტს. 2018 წელს კოლეჯმა 5 წლიანი ვადით კვლავ მოიპოვა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მორიგი აღიარება. აქედან გამომდინარე, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამებით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ მკაცრ მოთხოვნებს.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

\-\-\-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

საგანმანათლებლო პროგრამები

1.1.

1. გემბანის რიგითი მეზღვაურის და სამანქანო განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სავალდებულო უცხოურ ენას წარმოადგენს ინგლისური ენა. თუმცა პროგრამების უცხოური ენის მოდულის დასახელებაში უცხოური ენა დაკონკრეტებული არ იყო, რაც ექსპერტებმა ტექნიკურ შეცდომათ ჩათვალეს, რაზედაც მათ მიეცათ რეკომენდაცია, მოდულის დასახელებაში მიუთითონ ინგლისური ენა.
2. გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მოდულებში მითითებული ლიტერატურის გარდა გამოიყენება პროფესიული მასწავლებლების მიერ შექმნილი ე.წ.რიდერები. ექსპერტთა რეკომენდაციაა, ეს რიდდერები შეტანილ იქნას მოდულებში.
3. სამანქანო განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გემზე უსაფრთხოების მოდულის სასწავლო გეგმაში საათები შეცდომითაა დათვლილი, კერძოდ, 145,5 საათის ნაცვლად უნდა ეწეროს 145 საათი, თუმცა დაჯამებულია სწორად. ამას გარდა საატებისა და კრედიტების რაოდენობა სწორადაა მითითებული მოდულებსა და პროგრამაშიც. ამიტომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოიყვანონ შესაბამისობაში საათების რაოდენობა.

მატერიალური რესურსი

2.7.

1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია კოლეჯის ვებ-გვერდზე უფრო მკაფიოდ და ნათლად იყოს მოცემული შშმ პირების კოლეჯში არსებულ პროგრამებზე სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდვის შესახებ.

## VII. დაწესებულების მისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

კოლეჯის მისიაა საზოგადოებას შესთავაზოს:

– მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოამზადებენ შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე, კონკურენტუნარიან მეზღვაურებს;

–სოციალური ინკლუზიის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშემწყობი გარემო;

**ხედვა**

მათი ხედვაა შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ კოლეჯის, როგორც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში ერთერთი წარმატებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაცია.

**ღირებულებები**

კოლეჯის უნიკალურ გამოცდილებას განსაზღვრავს ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება გუნდური მუშაობის, ეთიკური და პასუხისმგებლიანი ქცევის, განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვისა და პროფესიონალიზმის, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების დარგისადმი ერთგულების პრინციპებს. მისიის უზრუნველსაყოფად კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წრეებთან.

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ,,ბათუმის საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი'' ფუნქციონირებს 2009 წლიდან. დაწესებულებას წინა ავტორიზაცია მიენიჭა პროფესიული საგანმანათალებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (30/08/2014) N33 გადაწყვეტილებით, სადაც შევიდა ცვლილებები ზემოაღნიშნული საბჭოს N99 გადაწყვეტილებით 2018 წლის 04/06.

დაწესებულებას უფლებამოსილება ჰქონდა განეხორციელებინა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - III საფეხური;
2. გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - III საფეხური.

ამ ეტაპზე კოლეჯში ჰყავს 35 აქტიური სტუდენტი გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო მილევადი რეჟიმის პროგრამაზე, რომელიც სრულდება აგვისტოს ბოლოს.

დაწესებულება გეგმავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, ესენია: „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; „გემბანის რიგითი მეზღვაურის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება რეგულირდება შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" სასწავლო პროცესის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს N04 ბრძანებით. დებულების თანახმად, კოლეჯის დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატებისა და დანერგვის მიზნით მიმართავს კოლეჯის დამფუძნებელს, რომელიც თავის მხრივ იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და დანერგვის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც ავალებს ხარისხის მართვის მენეჯერს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად მოახდინოს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება და დანერგვა. ადაპტირებულ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, ხარისხის მართვის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 4.2). ამავე წესით (მუხლი 25) განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრული რაოდენობა, კერძოდ, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯში განაცხადი შემოიტანა სტუდენტთა იმ რაოდენობამ, რომელიც აღემატება წინასწარ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტი შეირჩევა განათლების დამადასტრუებელი დოკუმენტის დანართში მოცემული საბოლოო ნიშნების/ქულების საფუძველზე.

პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა.

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად „გემბანის რიგითი მეზღვაურის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 91 კრედიტი (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში-106 კრედიტი);

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სამანქანო განყოფილების რიგითი მეზღვაურის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 87 კრედიტი (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში-102 კრედიტი).

გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კვალიფიკაცია-საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში) და სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კვალიფიკაცია-საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში) შემუშავებული კოლეჯის მიერ საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, შპს ,,სსსც ეკვატორის'' დირექტორის მიერ 2019 წლის 11 თებერვლის N 02/ა ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

აღნიშნული პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციები, რომელიც განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს-ტრანსპორტის მომსახურებები, კოდი 1041, მოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მოცემული პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიეცემა პროფესიული დიპლომი, რის შემდეგაც უნდა გაიაროს სერთიფიცირება და ჩააბაროს გამოცდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სამუშაო დიპლომის მისაღებად ,,მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად. ვიზიტის პერიოში შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამისი სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსის მოდულები და მათი თანმიმდევრობა. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის. მოდულები ადაპტირებულია, მოდულების წინაპირობები დაცულია სასწავლო გეგმაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის რეალიზებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან". მემორანდუმი დადებულია 2018 წლის 21 ნოემბერს 3 წლის ვადით, ხოლო ხელშეკრულება დადებულია 2019 წლის 27 თებერვალს, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების არსებითი პირობები, დაზუსტებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, გათვალისწინებულია პრაქტიკის წარმართვის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები, სტუდენტთა რაოდენობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

ვიზიტის მეორე სამუშაო დღეს ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, კერძოდ, დათვალიერებული იყო პრაქტიკის ერთ-ერთი ობიექტი, მცურავი ამწე „ჩერნომორეც-9“, რომელიც წარმოადგენს შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის'' დამხმარე ფლოტის მცურავ ერთეულს, რაზეც დადებულია ხელშეკრულება № 58-07-27022019 (27.02.2019 წ.) შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორსა“ და შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურს'' შორის. ბათუმის საზღვაო ნავსადგურს ჰყავს 12 მცურავი ერთეული. უზრუნველყოფილია მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობისთვის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.

ხელშეკრულების მიხედვით შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური'' ვალდებულია მიიღოს თავისი დამხმარე ფლოტის მცურავ ერთეულებზე შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის“ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების ხელშეწყობის მიზნით.

პრაქტიკის ობიექტების დათვალიერების დროს მოხდა გასაუბრება, როგორც სტუდენტებთან ასევე გემის კაპიტანთან და შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის'' მიერ დანიშნულ პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ამ დროს გადიოდნენ პრაქტიკას, კერძოდ განიხილებოდა გემის საჭის მექანიზმი, დანიშნულება, აგებულება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ყველა სტუდენტი აღჭურვილი იყო უსაფრთხოების ტექნიკის დამცავი საშუალებებით - ჩაფხუტი, ხელთათმანი, ჟილეტი და ა.შ.

პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა და ისაუბრეს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების გზებზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს გემი და შეისწავლეს პრაქტიკისთვის საჭირო პირობების არსებობა. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან სწავლების პროცესსა და პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, რამაც აჩვენა, რომ კოლეჯი წარმოადგენს პარტნიორს დამსაქმებლებისთვის შრომის ბაზარზე კადრების მომზადების კუთხით.

**რეკომენდაციები:**

1. გემბანის რიგითი მეზღვაურის და სამანქანო განყოფილებ ის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სავალდებულო უცხოურ ენას წარმოადგენს ინგლისური ენა. თუმცა პროგრამების უცხოური ენის მოდულის დასახელებაში უცხოური ენა დაკონკრეტებული არ იყო, რაც ექსპერტებმა ტექნიკურ შეცდომად ჩათვალეს, რაზედაც მათ მიეცათ რეკომენდაცია, მოდულის დასახელებაში მიუთითონ ინგლისური ენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

2. გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მოდულებში მითითებული ლიტერატურის გარდა გამოიყენება პროფესიული მასწავლებლების მიერ შექმნილი ე.წ. რიდერები. ექსპერტთა რეკომენდაციაა, ეს რიდდერები შეტანილ იქნას მოდულებში .

3. სამანქანო განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გემზე უსაფრთხოების მოდულის სასწავლო გეგმაში საათები შეცდომითაა დათვლილი, კერძოდ , 145,5 საათის ნაცვლად უნდა ეწეროს 145 საათი, თუმცა დაჯამებულია სწორად . ამას გარდა, საათებისა და კრედიტების რაოდენობა სწორადაა მითითებული მოდულებსა და პროგრამაშიც . ამიტომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოიყვანონ შესაბამისობაში საათების რაოდენობა .

4. სასურველია შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის“ საწარმოო პრაქტიკაზე პასუხისმგებელმა პირმა პრაქტიკის პროგრამის განხორციელებამდე გააცნოს პრაქტიკის ობიექტზე დანიშნულ ხელმძღვანელს გემზე განსახორციელებელი მოდულური პროგრამის თავისებურებები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ს სასწავლო პროცესის დებულებით;
- შპს ,,სსსც ეკვატორის'' დირექტორის მიერ 2019 წლის 11 თებერვლის ბრძანება N 02/ა;
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და შესაბამისი დოკუმენტებით (მოდულებითა და სასწავლო გეგმით);
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით;
- დაწესებულებებში და პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული ინტერვიუებით დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პრაქტიკის განმახორციელებლებთან;
- „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება);
- ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების ვებგვერდი www.equator.ge საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს მიიღოს ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კერძოდ, ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, სადაც მოცემულია ინფორმაცია მილევად რეჟიმში (საგნობრივი) მიმდინარე გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. ანონსის სახით მოცემულია ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლის გახორციელებაც სურს დაწესებულებას. პროგრამების შინაარსში მოცემულია ინფორმაცია შშმ პირების კოლეჯში არსებულ პროგრამებზე დაშვების შეზღუდვების შესახებ. ვებ-გვერდზე არის ინფორმაცია დაწესებულების მიზნის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების აღწერილობა, სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის ხანგრძლივობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და შეფასების წესი, დასაქმების სფერო, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი და სხვა. ვებ გვერდზე განთავსებულია სასარგებლო ბმულები, არის წერილის მიწერის საშუალება. კატალოგი დათარიღებულია 2019 წლით .

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით: http://www.equator..ge
- საგანმანათლებლო პროგრამებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ,,ბათუმის საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის'' მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ (შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება“);

გემბანის რიგითი მეზღვაური“ (შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება“) სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი პროგრამებით;
- პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებაში შემუშავებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები ასახულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა 35 აქტიური სტუდენტი. შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის და შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის''დებულების მე-6 მუხლის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის 10.06.2019 წლის N 05 ბრძანებით ხუთ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი. სტატუსის შეჩერების მიზეზი არის სტუდენტების ფინანსური დავალიანება ან ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სტუდენტების პირადი საქმეების შესწავლის შედეგედ დადგინდა, რომ ყველა პროცედურა (სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა) დაწესებულების მიერ შემუშავებული წესის დაცვით განხორციელდა, არასრულწლოვან სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებს ხელს აწერდა მშობელი/მეურვე. რაც შეეხება სტუდენტთა მობილობას და მიღებული განათლების აღიარებას, ასეთი შემთხვევა დაწესებულებაში არ ყოფილა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის''დებულებით;
- სტუდენტთა პირადი საქმეებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი, რაც ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 19), კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი, შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს შემდეგი სახის მექანიზმებს:

- კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

მოცემულ შემთხვევებში ხდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

ამავე წესის თანახმად, კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას;

დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთან“, სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტთან - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან'' და კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებთან თანამშრომლობის
- მემორანდუმით;
- სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტთან - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან'' დადებული მემორანდუმით;
- შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დებულების მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შეფასების სისტემა ძირითადად დაფუძნებულია მონიტორინგის, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის შედეგებზე. დაწესებულ ება ს შემუ შ ავე ბული ა ქვს პრ ო ფე სიულ ი ს ტ უდე ნტის ს წავლი ს შე დე გე ბის შე ფასები ს სისტემა როგორც პროფესიულ (საგნობრივ) საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც გაწერ ილია შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

სასწავლო პროცესის ხარისხის მენეჯერი ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ზრუნავს კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და მის განვითარება-განახლებაზე. ხარისხის მართვის მენეჯერი ხარისხის განვითარებისა და მართვის მიზნით უზრუნველყოფს კოლეჯში თეორიული და პრაქტიკული სწავლების ხარისხის ამაღლებას, შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდული შეფასების მექანიზმებს, ამზადებს სათანადო დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მონიტორინგს, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სისტემატურ გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების მიხედვით, ახდენს შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

კოლეჯმა წარმოადგინა შევსებული კითხვარები და ხარისხის სისტემის ანალიზის ნორმატიული

დოკუმენტი. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება ხორციელდება ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში. შეფასება მიმდინარეობს ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულის შეფასებას სათანადო ფორმის შევსებით, მეორე ეტაპზე-კოლეჯის დირექტორის სათანადო ბრძანებით შექმნილი კომისია (რომლის შემადგენლობაშიც შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და/ან კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები), პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შევსებით ახორციელებს დადგენილ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს ციკლი ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე’’. შემუშავებულია კითხვარები პროფესიული სტუდენტებისთვის (მიზნად ისახავს სტუდენტთა მოლოდინების განსაზღვრას და მათი კმაყოფილების კვლევას), კუსდამთავრებულებისთვის (კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა), პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის (პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა), დამსაქმებლებისთვის (პოტენციურ დამსაქმებელთა მოლოდინების განსაზღვრა და მათი კმაყოფილების კვლევა). საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განვითარებას.

საზღვაო დაწესებულება, გარდა საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამოსობისა, უნდა აკმაყოფილებდეს მეზღვაურთა მომზადების, სერტიფიცირების და ,,ვახტის გაწევის საერთაშორისო საზღვაო კონვენციას (STCW-95) რომლის თანახმადაც დაწესებულებაში დანერგილი უნდა იყოს ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემა-ISO. დაწესებულებამ მიიღო ISO 9001-2015 სერთიფიკატი 2019 წელს და მოქმედებს 2022 წლის აპრილამდე. სერთიფიცირება ხდება სამ წელიწადში ერთხელ. სერთიფიკატი მიენიჭა შესაბამისობის თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების მეთოდების შემუშავებისა და განხორციელების, საზღვაო სპეციალისტების თეორიული, პრაქტიკული და ტრენაჟორული მომზადებისა და გადამზადების ჩატარების სფეროში საერთაშორისო და ნაციონალური კანონმდებლობის მოთხოვნების დონეზე. საწვრთნელი ცენტრი აკმაყოფილებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) და STCW-ს მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემით;
- ISO 9001:2015 სტანდარტთან შესაბამისობის სერთიფიკატით N 19.0537.026;
- შპს ,,სსსც ეკვატორის'' ხარისხის სისტემის ანალიზის ნორმატიული დოკუმენტით, ნდ N 2-020101-13-ქ, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 16.01 2018 წელს;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი**

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ ძირითადი მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №29. დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული 300 კვ.მ ფართი მისამართზე- ქ.ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N 2- დროებით მფლობელობაში.

იჯარის ხელშეკრულების მიხედვით იჯარის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 18 აპრილიდან 2024 წლის 1 აპრილამდე, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ მოწოდებული უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № [redacted]). დაწესებულებამ წარმოადგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ფართით ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოხდა ორივე ფართის ვიზუალური დათვალიერება. ქ.ბათუმის ბათუმგორის ჩიხის ფართს დაწესებულება იყენებს სასწავლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. ბათუმი 6000, შავშეთის ქ. N 29<br>ქ. ბათუმი 6000, ბათუმგორის ჩიხი N 2 | 673<br>300 |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდები- [redacted]);
- უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით **შეფასება:**

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების სასწავლო ფართები აღჭურვილია სწავლისა და პრაქტიკისთვის აუცილებელი და საჭირო ინვენტარით, მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ყველა პრაქტიკული ლაბორატორია (C) აღჭურვილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მოდულური პროგრამებისთვის გამოყოფილი A და B გარემოსთვის განკუთვნილი აუდიტორიები უზრუნველყოფილია მაგიდებითა და სკამებით სტუდენტებისათვის და ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით პროფესიული სტუდენტებისთვის, პროექტორით, კომპიუტერით პროგრამის განმახორციელებელი პირისათვის. აუდიტორიები და ლაბორატორიები, რომლებიც ასრულებენ C გარემოების ფუნქციას, აგრეთვე აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური ინვენტარით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ.ბათუმის ბათუმგორის ჩიხის ფართს დაწესებულება იყენებს სასწავლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორცილებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, როგორ განისაზღვრება მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა კონკრეტულ პროგრამებზე და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების უფლებამოსილი პირის-შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ს დირექტორის მიერ დამტკიცების აქტები. დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კონკრეტულ პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არის დაწესებულების რესურსი.

A და B გარემოში – 22 (2 კომპიუტერული კლასი, თითოეულ კომპიუტერულ კლასში არის 10 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 - პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის) კომპიუტერი, ხოლო ადმინისტრაცია იყენებს 5 კომპიუტერს; სასწავლო აუდიტორიები და ასევე C გარემო აღჭურვილია მოდულების შესაბამისად უკანასკნელი მოდელის საწვრთნელი ტრენაჟორებით. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამებით დადგენილ
პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით
განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს.
დაწესებულების საკუთრებაშია: კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსი, საერთაშორისო საზღვაო
სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტრენაჟორი, როგორიცაა სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, სამანქანე განყოფილების სიმულატორი, რადიოლოკაციური სიმულატორი, რეალური გემის მოდელი, და სხვა. აღსანიშნავია, რომ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შასაბამისობის რეგულარული შემოწმება საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში.

**გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული** სტუდენტებისთვის **A-C**- გარემოში განთავსებულია 40 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში);

**B** გარემოში (2 კომპიუტერულ კლასში) განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში);

დაწესებულების სურვილია სტუდენტთა ზღვრულმა რაოდენობამ გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე შეადგინოს ორ ცვლაში – **80** სტუდენტი.

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის **A-C**- გარემოში განთავსებულია 30 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში);

**B** გარემოში (2 კომპიუტერულ კლასში) განთავსებულია 30 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში);

დაწესებულების სურვილია სტუდენტთა ზღვრულმა რაოდენობამ სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ორ ცვლაში შეადგინოს 60 სტუდენტი, ხოლო ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ელექტროენერგია დაწესებულებას მიეწოდება ქალაქის ელექტრო ქსელის მეშვეობით. დაწესებულებას აქვს დამოუკიდებელი (გენერატორი) ელექტრო ენერგიის მიწოდების წყარო. შენობაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა და ასევე დამონტაჟებულია კონდიცირება/გათბობის სისტემა. არის სანიტარული ნორმების შესაბამისი სველი წერტილები. სასწავლო ოთახები განლაგებულია ისე, რომ ხდება მათი ბუნებრივი განათება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით.
- საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.
- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს" შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 26 დეკემბრის N07/ა ბრძანებით) გაწევრიანების, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა/დაბრუნების მექანიზმი და ბიბლიოთეკაში ქცევის წესი. ვიზიტის დროს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგადი და არჩევითი პროფესიული მოდულებიდან, ექსპერტების მიერ შერჩევითად, გადამოწმებულ იქნა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც სრულად იყო წარმოდგენილი. ბიბლიოთეკაში ზოგიერთი მითითებული რესურსი ელექტრონულ ფორმატშია, ბეჭდური სახელმძღვანელოები გატარებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო წიგნში არსებული წესით. ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია მაგიდები, 3 კომპიუტერი და კომბაინი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- სახელმძღვანელოების შესყიდვისა და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ბიბლიოთეკის დებულებითა და სარგებლობის წესით;
- ინტერვიუირებით.

**შეფასება**:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, მის მართვაში აქტიურად გმოიყენება ITC გლობალურ და ლოკალურ ქსელში ჩართული 32 კომპიუტერი და 5 კომპლექტი კაპიტნის ხიდურის – BTM–ის ტრენაჟორის შემადგენლობაში. დაწესებულების ბალანსზე არსებული სულ 32 კომპიუტერიდან, სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულია 27 კომპიუტერი, ხუთი კი ადმინისტრაციის საქმინობისთვის. .დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტი. დაწესებულების ბალანსზეა პრინტერები, ქსეროქსის აპარატები, პროექტორები, ფიქსირებული და მობილური ტელეფონები და სხვ.

დაწესებულება ფლობს:

| | | |
|---|---|---|
| 1 | კომპიუტერი | 32 |
| 2 | პროექტორი | 6 |
| 3 | პრინტერი/კომბაინი | 6 |

„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ექვატორს“ აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები:

დაწესებულების ვებ გვერდი: www.equator.ge, ელექტრონული ფოსტა info@equator.ge ).

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად აკადემიას ჰყავს IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის კომპიუტერული პარკის (სასწავლო გარემოები, ადმინისტრაცია) გამართულ ტექნიკურ მუშაობას და პროგრამულ უზრუნველყოფას, პასუხისმგებელია კომპიუტერული ტექნიკის სიახლეებით კოლეჯის უზრუნველყოფაზე, საჭიროების მიხედვით ამატებს ინფორმაციასკომპიუტერული ტექნიკის, აქსესუარებისა და მარაგნაწილების მდგომარეობის შესახებ, ქმნის დოკუმენტს კომპიუტერების ან მათი მარაგნაწილების განახლების თაობაზე, ტექნიკურ ზედამხედველობას და ადმინისტრირებას უწევს კოლეჯის საინფორმაციო სოციალური ქსელების განვითარებას (ვებ-გვერდი, ფეისბუქი).

IT მენეჯერთან ერთად, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი უზრუნველყოფს კოლეჯში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირებულობას, რაც მოიცავს ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის, როგორც ტექსტური, ასევე ფოტომასალის განთავსებას კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე IT, რაც მოცემულია შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ექვატორის“დებულებაში, მუხლი 15.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერება;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“დებულება;
- ხელშეკრულებით ინტერნეტ პროვაიდერთან (დომენი, ჰოსტინგი) და მომსახურე კომპანიასთან;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა **ქვესტანდარტის**

**მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „სსსც ეკვატორში“ შემუშავებულ აქვს შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ საქმისწარმოების წესი, მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დებულებით განსაზღვრულია საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქციები, რომელთა შორის არის კოლეჯში საქმის წარმოების კოორდინაცია, ის ახორციელებს კოლეჯში შემოსული და გასული კორესპონდენციების (ასევე კოლეჯში შექმნილი დოკუმენტების) რეგისტრაციას, შენახვას (დაცვას), სისტემატიზაციასა და მის ოპერატიულ მიწოდებას შემსრულებლებისათვის, აწარმოებს ბრძანების გამოცემისა და გაცნობის ორგანიზაციულ მხარეს, უზრუნველყოფს მათ შენახვას და გაცნობას შესაბამის პირებისადმი, ახორციელებს კონტროლზე აყვანილ დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს, უზრუნველყოფს თათბირებისა და სამუშაო შეკრებების ორგანიზებას და ევალება შესაბამისი ოქმების წარმოება. გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, ბრძანებების აღრიცხვა განხორციელდა ჟურნალში გატარება, რომელიც დანომრილია, აღრიცხული და ზონარგაყრილი, მათი სანდოობა და მთლიანობა შემოწმდა ვიზიტის პერიოდში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“დებულება

- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ საქმისწარმოების წესი;
- შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა ბრუნვის, ბრძანებებით, ხელშეკრულებებისა აღრიცხვის ჟურნალები;
- საქმის წარმოების მენეჯერთან გასაუბრება;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა,

რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“დებულების მიხედვით (მუხლი 19) დაწესებულების უსაფრთხოების მენეჯერის ფუნქციებში, სხვა ვალდებულებებთან ერთად განსაზღვრულია შემდეგი მოვალეობები: შენობა–ნაგებობაში აღმოჩენილი დაზიანების (ელექტროგაყვანილობა, სანტექნიკა, გაზგაყვანილობა, სიგნალიზაცია) აღმოჩენის შემთხვევაში დირექტორთან კონსულტაციით და მისი ხელმძღვანელობით პრობლემის აღმოფხვრა, კოლეჯში და მის ტერიტორიაზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის გაკონტროლება, სამუშაო დღის ბოლოს აუდიტორიებისა და კაბინეტების უსაფრთხოებას (ელექტროგაყვანილობა, სანტექნიკა, კარ-ფანჯარა, სიგნალიზაცია) დამატებით გაკონტროლება, კოლეჯის საკომუნიკაციო ქსელის მონიტორინგი, კოლეჯის საწყობში სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, მუშაობის 24 საათიან რეჟიმში უსაფრთხო და მშვიდი სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, აგრეთვე შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესის საგანგებო სიტუაციების დროს ხელმძღვანელობა.

დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შპს „აჭარის ნებაყოფლობითი სახანძროს“ მიერ შედგენილი ევაკუაციის გეგმა, ასევე გამოკრულია ევაკუაციის ღონისძიებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ ინსტრუქცია. შენობის ყველა სართულსა და ფლიგელში განთავსებულია ცეცხლმაქრი საშუალებები (სულ 10 ერთეული) რომელიც არის დამუხტული და ვარგისიანობის ვადა დადასტურებულია. შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა, გაწერილია პასუხისმგებლობები.

*სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები*

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“დებულების მიხედვით (მუხლი 20) დაწესებულებას ჰყავს ექიმი, რომელიც აკონტროლებს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების პირველად სამედიცინო დახმარებას, ამზადებს პერიოდულ ანგარიშს კოლეჯისთვის შესაძენი მედიკამენტების და პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ, აწარმოებს მედიკამენტების და პირველადი სამედიცინო საშუალებების შემოტანაგაცემის აღრიცხვას, ევალება დანიშნულების მიხედვით პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში დიაგნოსტიკურ-სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკური და სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია სასწრაფო სამედიცინო სამსახურის დროულ გამოძახებაზე და აწარმოებს მედიკამენტების ვადების კონტროლს; სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შეძენილია საჭირო რაოდენობის პირველადი დახმარების მედიკამენტები და აუცილებელი საშუალებები. დაწესებულებაში გამოყოფილია პუნქტი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ დირექტორის მ/შ ბრძანება #18/კ
- 02/11/2018 წესრიგის დაცვის,სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“
- შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანება №10/28.12.2018 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი;
- შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანება №10/28.12.2018. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- შპს „სსსც ეკვატორის“ შინაგანაწესი.
- ცეცხლჩამქრობი ინვენტარისა და საშუალებების, მედიკამენტების შეძენის დოკუმენტაცია;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს „სსსც ეკვატორის“ ევაკუაციის გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროების მქონე პირთა გადაადგილებისთვის სათანადო პირობები: დამონტაჟებულია პანდუსები და არსებობს სათანადოდ მოწყობილი სველი წერტილი, თუმცა პროგრამების მოდულებში არის ჩანაწერი სსსმ და შშმ პირების შესახებ, კერძოდ, პროგრამებზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულია „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება).

„მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, შშმ პირები პროგრამებზე არ დაიშვებიან, რაც დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამების პროფესიულ მოდულებში შენიშვნის სახითაა მითითებული.

კერძოდ, კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მიხედვითაც მას უნდა ჰქონდეს სწრაფად მოძრაობის უნარი, უნდა შეეძლოს წონასწორობის შენარჩუნება, ვერტიკალურ და დახრილ ტრაპებზე ასვლა-ჩამოსვლა, კომინგსზე გადაბიჯება (მიახლოებით: 600 მმ) წყალგაუმტარი ჰერმეტული კარების გაღება-დახურვა, ხელების მაღლა აწევა, ადგილზე დგომა, სიარული და აქტიურობის შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მუშაობა შეზღუდულ სივრცეებში და ვიწრო გასასვლელებში გადაადგილება(მაგ.: SOLAS-ის რეგულაციით დადგენილი მინიმალური ზომები 600 მმ X 600 მმ). უფლებამოსილი ექიმი უნდა დარწმუნდეს, რომ კანდიდატს არ აწუხებს წონასწორობის დარღვევა, არ აქვს ისეთი დაავადება ან სისუსტე, რომელიც ხელს უშლის ნორმალურ მოძრაობას და ფიზიკურ აქტივობას. დახმარების გარეშე შეუძლია ვერტიკალურ და დახრილ ტრაპზე ასვლა-ჩამოსვლა, მაღალ ზღუდეებზე გადაბიჯება, ჰერმეტული კარებების ჩამკეტი მოწყობილობის მანიპულირება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია*** *კოლეჯის ვებ-გვერდზე უფრო მკაფიოდ და ნათლად იყოს მოცემული შშმ პირების კოლეჯში არსებულ პროგრამებზე სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდვის შესახებ.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერება;
- 2014 ის 26 თებერვლის ბრძანება N 01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების'' დამტკიცების შესახებ, საქართველოს ეკონომიკსა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების ვებ გვერდი www.equator.ge , რომლის დათვალიერებით დასტურდება, რომ მისი განახლება ხდება რეგულარულად, საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს მიიღოს ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კერძოდ, ვებ-გვერდზე მოცემულია შინაგანაწესი, შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის"დებულება, ინფორმაცია კოლეჯის პერსონალის შესახებ, თანამდებობრივი ინსტრუქციები, თანამდებობრივი სტრუქტურა დიაგრამის სახით, მარეგულირებელი წესი, მისია, სტრუქტურა, ანგარიშები, აქტივობები, პროგრამები (საგნობრივი/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი), ფოტო-ვიდეო გალერეა, მარეგულირებელი აქტები, დაწესებულების ერთწლიანი (2019წ) და 7 წლიანი გეგმები და სხვა. გვერდზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე აქვს სასარგებლო ბმულები და წერილის მიწერის საშუალება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების ვებ-გვერდით www.equator.ge
- დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- გასაუბრებით საზოგადოების ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** დაწესებულების მისიიდან გამომდინარე შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს" შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) (2019-2025 წწ.) და ერთწლიანი (2019 წლის) სამოქმედო გეგმები.

სტრატეგიული განვითარების (2019-20254წწ.) და სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 25 დეკემბერს N 06 ბრძანებით (შესულია ცვლილება დირექტორის 2019 წლის 10 ივნისის N 06 ბრძანებით) ასახულია კოლეჯის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მისაღწევი გზები, მოცემულია კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები, პრიორიტეტული მიზნები, დასახული მიზნების რეალიზაციის ვადები, საშუალებები და შედეგები, მოცემულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც ხორციელდება SWOT ანალიზის მეთოდით. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების მონაწილეობას, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

გრძელვადიან გეგმაში მოცემულია 6 ძირითადი მიზანი, რომელთა შორისაა საზღვაო სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე ორიენტირება. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/პირები მათი პოზიციის მითითებით. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების ვებ გვერდი: www.equator.ge
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2019-2025 წ. წ.) და ერთწლიანი (2019წ.) სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს სსსც „ეკვატორში“ ადმინისტრაცია, პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი და დამხმარე პერსონალი დაკომპლექტებულია 29 თანამშრომლით, საიდანაც 10 პროფესიული მასწავლებელია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყველა სტრუქტურული ერთეულის თანამდებობრივი ინსტრუქცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობის და შიდარეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად .

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს .

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;
- პროფესიულ პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით;
- თანამშრომელთა საკვაალიფიკაციო მოთხოვნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები იმის დასადგენად, რომ პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს. აგრეთვე გადამოწმდება რეესტრის მონაცემები იმის დასადგენად, თუ რამდენი აქტიური სტუდენტი და პროფესიული მასწავლებელი არის დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეესტრის მიხედვით საგნობრივი (მილევადი) პროგრამების პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 9, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 35 -ს. რაც შეეხება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობაა 10, ხოლო სტუდენტთა (სასურველი) რაოდენობა -140. პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და რაოდენობა აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმება;
- პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი"-ის დებულების მიხედვით კარიერული განვითარების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი შეიმუშავებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს, პერსონალთან აფორმებს ხელშეკრულებებს და აკონტროლებს ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვადებისა
და პირობების შესრულებას, კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს პერსონალის კონკურსის წესით შერჩევასთან დაკავშირებულ პროცედურებს, განსაზღვრავს კონკურსის პირობებისა და შეფასების მეთოდებს, ვიზიტის პერიოდში შემოწმდა პერსონალის შერჩევის პროცედურები.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებება, სადაც სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებულია ინფორმაცია იმ მოდულებზე, რომლის განხორციელების ვალდებულებასაც იღებს პროფესიული მასწავლებელი. ხელშეკრულებაში ასევე მოცემულია მხარეთა უფლებები, ვალდებულებები, პირობები, პასუხისმგებლობები, მოქმედების ვადა და სხვა არსებითი პირობები. შრომითი ხელშეკრულებების/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შრომითი ხელშეკრულებების/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის"დებულება;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დანართი №2

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების მოპოვებაც სურს დაწესებულებას

| № | პროგრამის დასახელება | როფე ოული ანათ ების აფეხუ ი / ონე | ისანიჭებელი ვალიფიკაცია სპეციალიზაციის სწავლის ეტალური ფეროს კოდის ითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათ ვის | რედიტების აოდენობა ოდულური როგრამის რაქართულე ოვანი ტუდენტები ათვის | სწავლ ების ენა | პროგრამის განხორციელე ბის მისამართი /მისამართები | უდენ ა ქტობრ ი ოდენო სამარ ბის ხედვი | ადგილები ს შესაძლო ზღვრული რაოდენობ ა ექსპერტთ ა ჯგუფის შეფასები თ, მისამართ ების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გემბანის რიგითი მეზღვაუ რი | მესა მე დონ ე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცი ა საგემბანე განყოფილები ს ექსპლუატაცი აში 1041 | 91 | 106 | ქართ ული | ქ.ბათუმი, შავშეთის ქ. N 29 ქ.ბათუმი, ბათუმგორი ს ჩიხი N 2 | 0 | 80 |
| 2 | სამანქანე განყოფი ლების რიგითი მეზღვაუ რი | მესა მე დონ ე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაშ ი 1041 | 87 | 102 | ქართ ული | ქ.ბათუმი, შავშეთის ქ. N 29 ქ.ბათუმი, ბათუმგორ ი ს ჩიხი N 2 | 0 | 60 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

**ინფორმაცია დაწესებულებაში მილევად რეჟიმში მიმდინარე საგნობრივი პროგრამის შესახებ**

*ბ) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე საფეხური | გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051 | 60 | ------- | ქართული ენა | ქ.ბათუმი, შავშეთის ქ. N 29 ქ.ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N 2 | 35 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დღის წესრიგი - დანართი N1 (4 ფურცლად)

22.07.2019

თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }